ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2289133

ნომერი: AR1325154

თარიღი : 31.07.2015

გაცემის თარიღი : 10.11.2015

გაცნობის თარიღი : 10.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 30 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "რუსთაველი ფროფერთი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404406166
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მინდია გადაევი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 61004001728

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი სულაბერიძე

• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის N 882015037180, მომზადების თარიღი 28/01/2015, საკადასტრო კოდი N 01.15.05.009.003)
• შ.პ.ს. "რუსთაველი ფროფერთი"–ს დირექტორის მინდია გადაევის მინდობილობა 30/07/2015 წ.
• შ.პ.ს. "არტსტუდიო პროექტი"–ს დირექტორის ირინე სკალვინის მინდობილობა 21/10/2015 წ.

• საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ბრძანება N4/29 04/02/2015წ. და სანებართვო მოწმობა N6/09/12/34
• საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი N6/10/12/917 06/11/2014 წ.
• ა.ა.ი.პ. თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის საპროექტო დოკუმენტაციის ანალიზისა და ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის კვლევის განყოფილების" დასკვნა ქ. თბილისის გრიბოედოვის ქ. N21–ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკურ მდგომარეობაზე 2015 წ.

• ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტორს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომის ოქმი N25, 23.10.2015 წ.

მიწის ნაკვეთის ფართობი: 3302 კვ.მ.

საერთო ფართობი: 16553 კვ.მ.

მათ შორის:
სასტუმრო ოთახები და ნომრები– 6679 კვ.მ.
ცირკულაცია–3113 კვ.მ.
საზოგადო სივრცეები–253 კვ.მ.
ლობი, სტუმრების ტუალეტები, გასახდელები–475 კვ.მ.
საკვები წერტილები, ბარი, სტუმრების ტუალეტები–654 კვ.მ.
ბალრუმი, შეხვედრების ოთახი, ზამთრის ბაღი–1025 კვ.მ.
სპა და ფიტნესი–540 კვ.მ.
შეერთებული–2760 კვ.მ.
ტექნიკური სათავსები–1077 კვ.მ.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. მოწონებულ იქნას ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), რუსთაველი გამზ, N 30–ში (უძრავი ძეგლი) შ.პ.ს. "რუსთაველი ფროფერთი"–ის მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის არქიტექტურული პროექტი.
2. გაიცეს უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა და სანებართვო მოწმობა;
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 12 ნოემბრიდან 2018 წლის 12 მაისის ჩათვლით.
4. მშენებლობის პროცესში გათვალისწინებული იქნას "ა.ა.ი.პ. თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის საპროექტო დოკუმენტაციის ანალიზისა და ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის კვლევის განყოფილების" დასკვნა ქ. თბილისის გრიბოედოვის ქ. N21–ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკურ მდგომარეობაზე 2015 წ. იხ დანართი.
5. დაცულ იქნას მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობა–ნაგებობების მდგრადობის და უსაფრთხოების პირობები სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით;
6. სრულად იქნას გათვალისწინებული კონსტრუქციულ ნაწილსა და მშენებლობის ორგანიზების პროექტში

წარმოდგენილი სარეკომენდაციო წინადადებები.
ეტაპები: I. ადაპტაციის სამუშაოები. II. არსებული კედლების გამაგრება, დროებითი ყრილების მოწყობა, ხიმინჯების მოწყობა, ხიმინჯების შემკრავი სარტყელი, ქვაბულის ამოღება, ხიმინჯის დამჭერი ირიბანები, არსებული კედლის დაღრმავება, III. ძირითადი სამშენებლო სამუშაოები: ქვიშა/ხრეშის საფუძველი, საძირკვლის ფილის მოწყობა, რკინაბეტონის კარკასის მოწყობა, სახუარვის მონტაჟი, კედლების აღმართვა, შიდა მოსახვითი სამუშაოები, საინჟინრო ქსელის მოწყობა, ტერიტორიის კეთილმოწყობა, საგამოცდო პერიოდი.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.